# ვახტანგ ტაბლიაშვილი

რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი 1914 წლის 16 მაისს ყვარლის რაიონის სოფელ ყვარელში დაიბადა. იგი მღვდლის ოჯახში აღიზარდა. 1925 წლიდან მისი ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. 1930 წელს დაამთავრა თბილისის მე-15 შრომის საშუალო სკოლა.

ვ. ტაბლიაშვილი სასცენო ხელოვნებამ მოწაფეობის დროსვე გაიტაცა და ამ დარგს მიუძღვნა მთელი სიცოცხლე. 1931 წლიდან კ. მარჯანიშვილის თეატრში რეჟისორის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. სწორედ ამ პერიოდში იგი უშუალოდ ეცნობოდა დიდი რეჟისორის მუშაობას.

1935 წელს მისივე თხოვნითა და თეატრის დირექციის მეშვეობით გაემგზავრა მოსკოვში ა. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე სასწავლებლად.

1938-1939 წლების სეზონი ვ. ტაბლიაშვილმა მოსკოვის სამხატვრო თეატრში გაატარა. როგორც რეჟისორ-პრაქტიკანტმა უშუალოდ ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსგან მიიღო მაღალი დონის განათლება. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1939 წელს, იგი კვლავ დაბრუნდა თბილისში და მუშაობა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში რეჟისორ-დამდგმელის თანამდებობაძე დაიწყო. მოგვიანებით 1956 წლიდან ვ. ტაბლიაშვილი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი რეჟისორი, ხოლო 1967 წლიდან კი თბილისის კინოსტუდიის რეჟისორის თანამდებობაზე გადაინაცვლა.

ვ. ტაბლიაშვილის მიერ განხორციელებული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია – ლ. არდაზიანის "შოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", ა. ოსტროვსკის "უმზითვო", ლ. გოთუას "მეფე ერეკლე", "დავით აღმაშენებელი, "უძლეველნი", ვ. კანდელაკის "მაია წყნეთელი", ალ. ყაზბეგის "მოძღვარი", უ. შექსპირის "რომეო და ჯულიეტა", "ოტელო", უშ. ჩხეიძის "გიორგი სააკაძე" და სხვა.

ვ. ტაბლიაშვილმა დიდი წარმატებით თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დადგა საოპერო სპექტაკლები – ზ. ფალიაშვილის "აბესალომ და ეთერი", "დაისი", ა. ბალანჩივაძის "დარეჯან ცბიერი" შ. მშველიძის "დიდოსტატის მარჯვენა", ჯ. ვერდის "ტრუბადური". განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. ტაბლიაშვილის მოღვაწეობა ქართულ კინემატოგრაფიაში. მისი უკვდავი ფილმი, ქართული კინოს შედევრი "ქეთო და კოტე" რეჟისორმა 1948 წელს გადაიღო, რომელმაც, როგორც რეჟისორს დიდი აღიარება მოუტანა. აგრეთვე გადაღებული აქვს ასევე წარმატებული კინოფილმი "დიდოსტატის მარჯვენა".

ვ. ტაბლიაშვილს 1945 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი დაჯილდოვებულია "საპატიო ნიშნის" ორდენით 1946 წელს და 1958 წელს, მედლით "მამაცური შრომისთვის დიდ სამამულო ომში 1941-1945 წწ."

1969 წელს საქართველოს სახალხო არტისტის, ხოლო 1997 წელს კი თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. ასევე არის შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი (2000 წ.)

ვ. ტაბლიაშვილი 2002 წლის 27 მაისს გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

## ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ვახტანგ ტაბლიაშვილის ავტობიოგრაფია.
   1939 წ. 19 ოქტომბერი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

2. ვახტანგ ტაბლიაშვილის ავტობიოგრაფია.
   1944 წ. 5 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

3. ვახტანგ ტაბლიაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1939 წ. 19 დეკემბერი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. 4 გვ.

4. ვახტანგ ტაბლიაშვილის საკვალიფიკაციო ფურცელი
   1954 წ. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. 3 გვ.

5. საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ გაცემული ვახტანგ ტაბლიაშვილის ცნობარი.
   1988 წ. 24 აპრილი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. 2 ეგზ. 8 გვ.

6. ამონაწერი ბრძანებიდან ვახტანგ ტაბლიაშვილისათვის ადმინისტრაციული სასჯელის შესახებ.
   1941 წ. 8 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

7. ამონაწერი ბრძანებიდან ვახტანგ ტაბლიაშვილის თანამდებობრივი კატეგორიის შესახებ.
   1945 წ. 2 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

8. ყვარლის რაიონის გამგეობის დადგენილება ყვარლის კინოთეატრისათვის ვახტანგ ტაბლიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
   2002 წ. 27 მაისი. ყვარელი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: დ. ლაფაჩიშვილი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

9. ხელწერილი საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივში ვახტანგ ტაბლიაშვილის პირადი ფონდის სახელმწიფო შენახვაზე მიღების შესახებ.
   პირი: ი. ტაბლიაშვილი
   2004 წ. 21 სექტემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ასლი. ხელს აწერს - ვ. გიორგაძე. 1 გვ.

10. ვახტანგ ტაბლიაშვილის ფილმ “ქეთო და კოტეს” განხილვის სტენოგრამა.
    პირი: ბორის ჩორნი, ბ. ლასკინი, ს. ვასილიევი, ნავროდსკი, პამეშიკოვი.
    1948 წ. 4 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 13 გვ.

11. ვახტანგ ტაბლიაშვილის საპატიო წოდების სიგელი

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
1944 წ. თბილისი. ხელნაწერი. სტამბური. ხელს აწერენ: გ. სტურუა, ვ. ეგნატაშვილი. ასლი. ბეჭედდასმული. 3 გვ.

12. ვახტანგ ტაბლიაშივლის სიგელი საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
1967 წ. 8 თებერვალი. თბილისი. ხელნაწერი. სტამბური. ხელს აწერენ: გ. ძოწენიძე, ზ. კვაჭაძე. ასლი. ბეჭედდსამული. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

13. ვახტანგ ტაბლიაშვილის საპატიო სიგელი ქართული კინოხელოვნების განვითარებაში წვლილისთვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.
1984 წ. 31 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. სტამბური. ასლი. ხელს აწერენ: პ. გილაშვილი, თ. ლაშქარაშვილი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

14. ვახტანგ ტაბლიაშვილის საპატიო სიგელი ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანასთან დაკავშირებით.
198(5) წ. თბილისი. ნაბეჭდი. სტამბური. ასლი. ხელს აწერენ: გ. ლორთქიფანიძე, კ. ნინიკაშვილი. ბეჭედდასმული. 2 გვ.

15. ვახტანგ ტაბლიაშვილის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის დიპლომა, ვ. ტაბლიაშვილის წიგნისათვის “რეჟისორის ჩანაწერები”.
1993 წ. 14 იანვარი. სტამბური. ასლი. ქართულ და რუსულ ენაზე. 3 გვ.

16. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნოს მისალოცი ადრესი ვახტანგ ტაბლიაშვილის დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით
უთარიღო. ნაბეჭდი. ასლი. 2 გვ.

17. დიმიტრი ჯანელიძის სახელობის თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მისალოცი ადრესი ვახტანგ ტაბლიაშვილისადმი, დაბადებიდან 85 წლისთავთან დაკავშირებით
ხელს აწერენ: დალი მუმლაძე, გულნარა ჯავაშვილი, მიხეილ გიჟიმჟრელი.
უთარიღო. სტამბური. 2 გვ.

## ჩანახატები

18. ვახტანგ ტაბლიაშვილის ჩანახატები.
ფანქარი. 3 ც. 22X15 სმ.

## მოგონება

19. ვახტანგ ტაბლიაშვილის მოგონება, მხატვრული ფილმის "დიდოსტატის მარჯვენას" შესახებ.
    პირი: შალვა გრძელიშვილი, ნანა დემეტრაშვილი.
    უთარიღო. ავტოგრაფი. ბურთულიანი კალამი. 1 გვ.

## ეპისტოლარული მემკვიდრეობა
## ვ. ტაბლიაშვილის წერილები

20. ვახტანგ ტაბლიაშვილის წერილი მარგარიტა გოგოლაშვილისადმი, მოსკოვის "სამხატვრო" თეატრში პრაქტიკასა და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან შეხვედრის შესახებ.
    პირი: ხმალაძე
    1938 წ. 1 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

21. ვახტანგ ტაბლიაშვილის წერილი მარგარიტა გოგოლაშვილისადმი, მოსკოვში, დიდ თეატრში 1938 წ. ან 1939 წ-ის 19 ივნისს ზ. ფალიაშვილის ოპერა "აბესალომ და ეთერის" პრემიერასთან დაკავშირებით.
    10 ივნისი. მოსკოვი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

22. ვახტანგ ტაბლიაშილის პირადი ხასიათის წერილი მარგარიტა გოგოლაშვილისადმი.
    პირი: ირაკლი, ლეო, ოთარი, ძაძუ, მარგო, ჭიჭიკო.
    უთარიღო. მოსკოვი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

## წერილი ვ. ტაბლიაშვილისადმი

23. უშანგი ჩხეიძის წერილი ვახტანგ ტაბლიაშვილისადმი პიესა "გიორგი სააკაძესთან" დაკავშირებით.
    1953 წ. 15 მაისი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

## ღია ბარათი

24. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის ახალი წლის მისალოცი ღია ბარათი ვახტანგ ტაბლიაშვილისადმი
    1986 წ. ნაბეჭდი. 1 ც.

## პროგრამები

25. კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გამართული სპექტაკლ უილიამ შექსპირის "ოტელოს " პროგრამა. დადგმა – კ. მარჯანიშვილის. მხატვარი – პ. ოცხელი. მუსიკა – კ. მეღვინეთუხუცესის.
1933-34 წ. სტამბური. 1 ც.

26. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართული ლევან გოთუას "დავით აღმაშენებლის"პროგრამა. დადგმა – ვ. ტაბლიაშვილის. მხატვრები – ი. სუმბათაშვილი, ფ. ლაპიაშვილი. კომპოზიტორი – ა. კერესელიძე. ქორეოგრაფი – დ. ბაგრატიონი.
1946 წ. 25 თებერვალი. სტამბური. რუსულ ენაზე. 7 გვ.

27. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართული სპექტაკლ უ. შექსპირის "ანტონიოს და კლეოპატრა". დადგმა – ვ. ტაბლიაშვილის. მხატვარი – ი. სუმბათაშვილი. კომპოზიტორი – ა. კერესელიძე.
1951 წ. თბილისი. სტამბური. 1. ც.

28. კ/ფ "დიდოსტატის მარჯვენას" პროგრამა. რეჟისორები: ვ. ტაბლიაშვილი, დ. აბაშიძე. ოპერატორი: გ. ჭელიძე.
როლებში: ოთარ მეღვინეთუხუცესი, აკაკი ვასაძე, ვასო გოძიაშვილი, ლალი ბადურაშვილი, თენგიზ არჩვაძე, სესილია თაყაიშვილი, ლეილა აბაშიძე.
1969სტამბური. 1 ც. (2 ეგზ.)

29. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართული ვახტანგ ტაბლიაშვილთან შეხვედრის პროგრამა
2001 წ. 7 მარტი. სტამბური. 1 ც.

**მოსაწვევი ბარათები,**

30. ქუთაისის კლუბ "ისრიმში" გამართული ვახტანგ ტაბლიაშვილთან შეხვედრის მოსაწვევი ბარათი, შეხვედრასთან დაკავშირებით.
1986 წ. 15 დეკემბერი. სტამბური. 1 ც.

31. საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირში გამართული ვახტანგ ტაბლიაშვილის შემოქმედებით საღამოს მოსაწვევი ბარათი.
17 ივნისი. სტამბური. 1 ც.

32. თბილისის მასწავლებელთა სახლში გამართული ვახტანგ ტაბლიაშვილთან შეხვედრის მოსაწვევი ბარათი.
22 ნოემბერი. სტამბური. 1 ც.

**დეპეშა**

33. ელდერ შენგელაიას მისალოცი დეპეშა ვახტანგ ტაბლიაშვილისადმი შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით.
2000 წ. 19 მაისი. ნაბეჭდი. 1 ც.

## გარდაცვალებასთან დაკავშირებული მასალა

34. საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სამძიმრის წერილი ვახტანგ ტაბლიაშვილის ოჯახისადმი.
2002 წ. 27 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს - ე. შევარდნაძე. 1 გვ.